



თიბისი ღაზღვევა



სიცოცხლის ვადიანი
ინდივიდუალური
ღაზღვევის პირობები

#TL-002/21

სარჩევი

სიცოცხლის ვადიანი ინდივიდუალური დაზღვევა

ტერმინთა განმარტება	2
1. დაზღვევის საგანი	5
2. დაზღვევის პროცედურა.....	5
3. დაზღვეული რისკები და ბენეფიტები	7
4. გამონაკლისები	9
5. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძვლები და წესი.....	13
6. დაზღვევის ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის წესი.....	15
7. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი.....	15
8. დაზღვევის ხელშეკრულების / სადაზღვევო დაფარვის შეწყვეტის წესი	16
9. შეტყობინებები და კომუნიკაცია	17
10. დავათა გადაწყვეტა	17
11. კონფიდენციალურობა	17
12. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება	18
დანართი #1 - ანაზღაურების ცხრილი დაზღვეული შვილ(ებ)ის უბედური შემთხვევით გამოწვეული ტრავმ(ებ)ის შემთხვევაში	20



სადაზღვევო დაფარვები



მნიშვნელოვანი ინფორმაცია



გამონაკლისები

სიცოცხლის ვადიანი ინდივიდუალური დაზღვევა

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის, დაზღვევის პირობებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

მზღვეული

სს „თიბისი“ დაზღვევა.

დამზღვევი

20-დან 55 წლის ჩათვლით ასაკის ფიზიკური პირი, რომელიც პასუხისმგებელია სადაზღვევო პრემიის გადახდაზე.

დაზღვეული

20-დან 55 წლის ჩათვლით ასაკის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე ფიზიკური პირი, რომლის სიცოცხლე დაზღვეულია წინამდებარე პირობების თანახმად.

ამ დაზღვევის მიზნებისთვის, ინდივიდუალური პოლისის ფარგლებში დაზღვეული და დამზღვევი ერთი და იგივე პირია. საოჯახო პოლისის შემთხვევაში, დამზღვევი მოიაზრება „ძირითად დაზღვეულად“, ხოლო მისი მეუღლე - „დაზღვეულ მეუღლედ“, შვილ/ებ/ი კი - „დაზღვეულ შვილ/ებ/ად“. ამასთან, საოჯახო პოლისის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვევის გაფორმებისას „ძირითადი დაზღვეული“ კანონიერ ქორწინებაშია „დაზღვეულ მეუღლესთან“.

მოსარგებლე

ფიზიკური პირი, რომელიც ამ დაზღვევის ფარგლებში, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

ინდივიდუალური პოლისის შემთხვევაში, გარდაცვალების რისკის დადგომისას, მოსარგებლე არის დაზღვეულის მხრიდან სადაზღვევო პოლისში მითითებული პირი. თუ სადაზღვევო შემთხვევის დროს სადაზღვევო პოლისში მითითებული მოსარგებლე გარდაცვლილია, მოსარგებლეებს წარმოადგენენ დაზღვეულის კანონისმიერი მემკვიდრეები. დროებითი შრომისუნარობის რისკის დადგომისას, მოსარგებლე არის უშუალოდ დაზღვეული.

საოჯახო პოლისის შემთხვევაში, გარდაცვალების რისკის დადგომისას, მოსარგებლე არის გარდაცვლილი დაზღვეულის მეუღლე. დროებითი შრომისუნარობისა და დაზღვეული შვილ/ები/ს უბედური შემთხვევით გამოწვეული სხეულის დაზიანების რისკის დადგომისას, მოსარგებლე ძირითადი დაზღვეულია.

სადაზღვევო პოლისი

მზღვეელსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების ფაქტის დამადასტურებელი და ამ ხელშეკრულების პირობების ამსახველი დოკუმენტი. სადაზღვევო პოლისსა და დაზღვევის პირობებს შორის განსხვავებების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სადაზღვევო პოლისს.

სადაზღვევო პრემია

დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

სადაზღვევო შემთხვევა

სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი და დაზღვეული რისკით გამოწვეული შემთხვევა, რომელიც წარმოშობს მზღვეველის ვალდებულებას გადაუხადოს მოსარგებლეს სადაზღვევო ანაზღაურება.

სადაზღვევო ანაზღაურება

თანხის ოდენობა, რომელსაც მზღვეველი უხდის მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

სადაზღვევო პერიოდი

დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს სადაზღვევო დაფარვა და რომლის განმავლობაშიც მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას.

სადაზღვევო პერიოდი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

პოლისის უწყვეტად განახლება

მიმდინარე პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის ამოწურვისას/ვადამდე შეწყვეტისას ახალი პოლისის გაფორმება, რომლის სადაზღვევო პერიოდიც იწყება მიმდინარე პოლისის სადაზღვევო პერიოდის დასრულების/შეწყვეტის შემდეგ კალენდარულ დღეს.

სადაზღვევო თანხა/ლიმიტი

პოლისში მითითებული ფიქსირებული თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება.

მიმდინარე სადაზღვევო ლიმიტი/თანხა დაზღვეულზე

სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტის ნაწილი, რომელიც დარჩა წინა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შემდეგ.

დაზღვეული რისკი

სადაზღვევო პოლისში მითითებულ შემთხვევათა ჩამონათვალი, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სადაზღვევო შემთხვევა.

მოცდის პერიოდი

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვეული რისკის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა.

ბუნებრივი მიზეზებით გარდაცვალების რისკთან მიმართებით, მოცდის პერიოდი შეადგენს დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველ 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეს.

უბედური შემთხვევის შედეგად დროებითი შრომისუნარობისა და დაზღვეული შვილ/ებ/ის ტრავმების რისკებთან მიმართებით, მოცდის პერიოდი შეადგენს დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველ 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეს.

მოცდის პერიოდი არ ვრცელდება უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების რისკთან მიმართებით.

დაზღვევის ტერიტორია

მთელი მსოფლიო გარდა ერაყის, ავღანეთის, სომალისა და ყველა იმ ტერიტორიისა, სადაც მიმდინარეობს საომარი მოქმედებები.

გარდაცვალება

ბუნებრივი მიზეზით და ასევე უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალება (გარდა სადაზღვევო პირობების გამონაკლისების მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

უბედური შემთხვევა

გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის ჯანმრთელობის დაზიანებას, შრომისუნარიანობის დაკარგვას ან გარდაცვალებას.

**დროებითი
შრომისუნარიობა**

მხოლოდ უბედური შემთხვევით და არა სხვა რაიმე დამოუკიდებელი მიზეზით გამოწვეული სხეულის დაზიანება, რომელიც იწვევს შრომისუნარიანობის დროებით დაკარგვას უწყვეტად, 40 დღეზე მეტხანს, და დადასტურებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #281/6 ბრძანების შესაბამისად გაცემული საავადმყოფო ფურცლით (ბიულეტენით).

**დაზღვევამდე არსებული
დაავადება/კათოლოგიური
მდგომარეობა**

დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე დიაგნოსტირებული დაავადება ან/და ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც არსებობდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე.

**დაზღვევის
ხელშეკრულება**

დაზღვევის ხელშეკრულება შედგება შესაბამისი დეკლარაციის ან სამედიცინო კითხვარის, მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისის, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობებისა და წინამდებარე პირობებისაგან.



1. დაზღვევის საგანი

- 1.1 წინამდებარე დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას მოსარგებლებზე, პოლისში მითითებული დაზღვეული რისკით გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გარდა ამ დოკუმენტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.



2. დაზღვევის პროცედურა

2.1 დაზღვევას დაქვემდებარებული პირები:

დაზღვევას ექვემდებარებიან:

- საქართველოს მოქალაქე ან/და საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც დაზღვევის შეძენის დროს 20-დან 53 (ჩათვლით) წლისაა;
- საოჯახო პაკეტის შეძენისას, კანონიერ ქორწინებაში მყოფი მისი მეუღლე, რომელიც იმ დროისთვის 20-დან 53 (ჩათვლით) წლისაა;
- მათი შვილები, რომლებიც დაზღვევის შეძენისას 3-დან 17 (ჩათვლით) წლისანი არიან.

2.2 დაზღვევას არ ექვემდებარებიან:

- 2.2.1 პირები, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას (დახმარებას ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად), მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც აღმოჩნდნენ ასეთ მდგომარეობაში პოლისის ძალაში შესვლის შემდეგ;
- 2.2.2 დაზღვევის მომენტისთვის კარანტინში/თვითიზოლაციაში მყოფი პირები, კარანტინის/თვითიზოლაციის ვადის დასრულებამდე;
- 2.2.3 პირები, რომლებიც დაზღვევის მომენტში ელოდებიან პასუხს COVID-19-ის ტესტზე ან უკვე აქვთ მიღებული დადებითი პასუხი აღნიშნულ ტესტზე. დადებითი პასუხის შემთხვევაში, დაზღვევის გაფორმება შესაძლებელია გამოჯანმრთელებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის გასვლის შემდეგ;
- 2.2.4 პირები, რომლებიც ფლობენ მზღვეველის ანალოგიურ, სიცოცხლის ვადიანი დაზღვევის ნებაყოფლობით პროდუქტს - „სიცოცხლის ვადიანი ინდივიდუალური დაზღვევის „თიხისი დაზღვევის“ ჯანმრთელობის დაზღვევის მფლობელთათვის“.

2.3 პაკეტი A-ს და პაკეტი B-ს შეძენის შემთხვევაში ან თუ სხვა ანალოგიური, სიცოცხლის ვადიანი ნებაყოფლობითი დაზღვევის პოლის(ებ)ის გათვალისწინებით, დაზღვეულის ჯამური სადაზღვევო თანხა გარდაცვალების რისკზე არ აღემატება 250 (ორასორმოცდაათი) ათას ლარს, დასაზღვევი პირი ხელს აწერს დეკლარაციას (სველი ხელმოწერით ან ელექტრონულად), რომლითაც ადასტურებს, რომ დაზღვევის გაფორმების თარიღისთვის:

- ის არ იმყოფება კარანტინში/თვითიზოლაციაში;
- არ ელოდება პასუხს COVID-19-ის ტესტზე ან მას არ აქვს მიღებული დადებითი პასუხი აღნიშნულ ტესტზე;

- ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში, გამოჯანმრთელებიდან გასულია 1 (ერთი) კალენდარულ თვეზე მეტი, და
- მას არ აწუხებს დეკლარაციის ფორმაში ჩამოთვლილი დაავადებები.

აღნიშნული დეკლარაცია წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების წინაპირობას და მის განუყოფელ ნაწილს.

დეკლარაციაში ერთ კითხვაზე მაინც (გარდა იმ კითხვებისა, რომლებიც ეხება წონას, სიმაღლეს, თამბაქოს მოხმარებასა და სიცოცხლის დაზღვევის სხვა პოლისის ფლობას) დადებითი პასუხის შემთხვევაში, პირი დაზღვევას არ ექვემდებარება. ასეთი პირი არ ჩაითვლება დაზღვეულად მის სასარგებლოდ პრემიის გადახდის შემთხვევაშიც კი, ხოლო გადახდილი პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

პასუხებმა წონასთან, სიმაღლესთან ან/და სხვა პოლისის ფლობასთან დაკავშირებულ კითხვებზე შეიძლება განაპირობოს უარი დაზღვევაზე ან სამედიცინო კითხვარის შევსების მოთხოვნა ისე, როგორც ეს მითითებულია მუხლში 2.4.

2.4 პაკეტი C-ს შეძენის შემთხვევაში ან თუ სხვა ანალოგიური, სიცოცხლის ვადიანი ნებაყოფლობითი დაზღვევის პოლის(ებ)ის გათვალისწინებით, დაზღვეულის ჯამური სადაზღვევო თანხა გარდაცვალების რისკზე უდრის ან აღემატება 250 (ორასორმოცდაათი) ათას ლარს, დასაზღვევი პირი ავსებს სამედიცინო კითხვარს, ხოლო საოჯახო პაკეტის შეძენის შემთხვევაში და იმ პირობით, რომ სხვა ანალოგიური, სიცოცხლის ვადიანი დაზღვევის პოლის(ებ)ის გათვალისწინებით, მეუღლის ჯამური სადაზღვევო თანხა გარდაცვალების რისკის შემთხვევაში არ აღემატება 250 (ორასორმოცდაათი) ათას ლარს, მისი მეუღლე ხელს აწერს დეკლარაციას პუნქტი 2.3-ის მიხედვით.

თუ მეუღლის ჯამური სადაზღვევო თანხა სხვა ანალოგიური, სიცოცხლის ვადიანი ნებაყოფლობითი დაზღვევის პოლის(ებ)ის გათვალისწინებით, უდრის ან აღემატება 250 (ორასორმოცდაათი) ათას ლარს, მეუღლე ავსებს სამედიცინო კითხვარს.

კითხვარის შევსებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში მზღვეველი იღებს გადაწყვეტილებას რისკის აღება/არაღებასთან დაკავშირებით და რისკის აღების შემთხვევაში მისი კონკრეტული პირობ(ებ)ით დაზღვევის შესახებ, ან მოითხოვს დამატებით სამედიცინო დოკუმენტაციას ან/და სამედიცინო კვლევების ჩატარებას.

2.5 წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის შეძენით, დამზღვევი აცხადებს წინასწარ თანხმობას და ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველმა ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულებიდან ან/და ნებისმიერი სხვა მესამე პირისგან გამოითხოვოს დაზღვეულის სამედიცინო ჩანაწერები და სხვა სამედიცინო ინფორმაცია, ასევე პერსონალური ინფორმაცია, რაც საჭიროა რისკის შესაფასებლად ან/და სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დასადგენად.

2.6 მოცდის პერიოდი არ შეეხება იმ დაზღვეულებს, რომლებიც სადაზღვევო პერიოდის ამოწურვის შემდეგ უწყვეტად (ანუ იმავე დღეს) განაახლებენ სადაზღვევო პოლისს იმავე ოდენობის ან ნაკლებ სადაზღვევო თანხაზე.

2.7 მოცდის პერიოდი ბუნებრივი მიზეზით გარდაცვალების რისკთან მიმართებით არ შეეხება ინდივიდუალური პოლისით დაზღვეულს და საოჯახო პოლისის ძირითად დაზღვეულს, რომელიც ფლობდა მზღვეველის ანალოგიურ პროდუქტს (სიცოცხლის ვადიანი ნებაყოფლობითი დაზღვევა) იგივე ან ნაკლები სადაზღვევო ლიმიტით და უწყვეტად შეიძინა/განაახლა ეს პროდუქტი.

- 2.8 თუ არსებული პოლისის გაუქმებას ან/და ამოწურვასა და ახალი სადაზღვევო პოლისის გაფორმებას შორის იქნება წყვეტა, მოცდის პერიოდის ათვლა დაიწყება თავიდან.
- 2.9 თუ არსებული პოლისის გაუქმებისას ან/და ამოწურვისას ახალი სადაზღვევო პოლისი უწყვეტად გაფორმდება გაზრდილ სადაზღვევო თანხაზე, მოცდის პერიოდის ათვლა დაიწყება თავიდან, თუკი მზღვეველმა არ გასცა სპეციალური თანხმობა, რომ მოცდის პერიოდი თავიდან არ ამოქმედდება.



3. დაზღვეული რისკები და ბენეფიტები

წინამდებარე დაზღვევა ითვალისწინებს:

3.1 ინდივიდუალური პოლისის შეძენის შემთხვევაში:

- 3.1.1 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ, დაზღვეული პირის ბუნებრივი მიზეზით გარდაცვალებისას პოლისში მითითებული ფიქსირებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას.
- 3.1.2 სადაზღვევო პერიოდში მომხდარი უბედური შემთხვევის დღიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში დაზღვეული პირის უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალებისას პოლისში მითითებული ფიქსირებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას.
- 3.1.3 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ, უბედური შემთხვევის შედეგად, უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში, ბიულეტენზე ყოფნის პერიოდში ყოველდღიური ანაზღაურება გაიცემა შემდეგი წესების მიხედვით:
- 3.1.3.1 თუ დაზღვეული დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულებით კერძო კომპანიაში ან სახელმწიფო სტრუქტურაში, უწყვეტად 40 (ორმოცი) კალენდარულ დღეზე მეტხანს, ბიულეტენზე ყოფნის შემთხვევაში ანაზღაურების გაცემა დაიწყება 40 (ორმოცი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც დამსაქმებელი შეუწყვეტს დაზღვეულს შრომით ხელშეკრულებას და გაგრძელდება ბიულეტენის დახურვის დღემდე.

ანაზღაურება გამოითვლება შემდეგი წესით:

- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან ბიულეტენის დახურვამდე კალენდარული დღეების რაოდენობა (მაგრამ არაუმეტეს 180 (ას ოთხმოცი) დღისა) გამრავლებული დღიური ნეტ (გადასახადების გარეშე) ხელფასის 60%-ზე;
- დღიური ნეტ ხელფასი გამოითვლება შეწყვეტილი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ნეტ ხელფასის 30%-ზე გაყოფით.

თვეში ასანაზღაურებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული და პოლისში მითითებული ყოველთვიური ლიმიტის ოდენობას.

- 3.1.3.2 თუ დაზღვეული დასაქმებულია მომსახურების ხელშეკრულებით ან თვითდასაქმებულია უწყვეტად 40 (ორმოცი) კალენდარულ დღეზე მეტხანს, ბიულეტენზე ყოფნის შემთხვევაში ანაზღაურების გაცემა დაიწყება 41-ე (ორმოცდაერთი) დღიდან.

ანაზღაურება გამოითვლება შემდეგი წესით:

- ბიულეტენზე ყოფნის დღეებს გამოაკლდება 40 (ორმოცი) კალენდარული დღე;
- მიღებული დღეების რაოდენობა (მაგრამ არაუმეტეს 180 (ას ოთხმოცი) დღისა), მრავლდება დაზღვეულის დღიური ნეტ შემოსავლის 60%-ზე;
- ყოველდღიური შემოსავალი დაანგარიშდება დაზღვეულის ბოლო 6 (ექვსი) კალენდარული თვის განმავლობაში დაბეგრული შემოსავლების ჯამის 180-ზე გაყოფით.

თვეში ასანაზღაურებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული და პოლისში მითითებული ყოველთვიური ლიმიტის ოდენობას.

შემოსავლებში არ ითვლება ისეთი ტიპის შემოსავალი, როგორიცაა იჯარით მიღებული, დივიდენდები ან სხვა, რომელიც არ მოითხოვს დაზღვეულის შრომას.

3.2 საოჯახო პოლისის შეძენის შემთხვევაში ძირითად დაზღვეულთან დაკავშირებით დაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებს:

- 3.2.1 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ, დაზღვეული პირის ბუნებრივი მიზეზით გარდაცვალებისას პოლისში მითითებული ფიქსირებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას.
- 3.2.2 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევის დღიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეული პირის გარდაცვალებისას, პოლისში მითითებული ფიქსირებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას.
- 3.2.3 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ, უბედური შემთხვევის შედეგად, უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში, ბიულეტენზე ყოფნის პერიოდში ყოველდღიური ანაზღაურების გაცემას შემდეგი წესების მიხედვით:
- 3.2.3.1 თუ დაზღვეული დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულებით კერძო კომპანიაში ან სახელმწიფო სტრუქტურაში უწყვეტად 40 (ორმოცი) კალენდარულ დღეზე მეტხანს, ბიულეტენზე ყოფნის შემთხვევაში ანაზღაურების გაცემა დაიწყება 40 (ორმოცი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ, იმ დღიდან, როდესაც დამსაქმებელი შეუწყვეტს დაზღვეულს შრომით ხელშეკრულებას და გაგრძელდება ბიულეტენის დახურვის დღემდე.

ანაზღაურება გამოითვლება შემდეგი წესით:

- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან ბიულეტენის დახურვამდე კალენდარული დღეების რაოდენობა (მაგრამ არაუმეტეს 180 (ას ოთხმოცი) დღისა) გამრავლებული დღიური ნეტ (გადასახადების გარეშე) ხელფასის 60%-ზე;
- დღიური ნეტ ხელფასი გამოითვლება შეწყვეტილი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ნეტ ხელფასის 30-ზე გაყოფით.

თვეში ასანაზღაურებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული და პოლისში მითითებული ყოველთვიური ლიმიტის ოდენობას.

3.2.3.2 თუ დაზღვეული დასაქმებულია მომსახურების ხელშეკრულებით ან თვითდასაქმებულია უწყვეტად 40 (ორმოცი) კალენდარულ დღეზე მეტხანს, ბიულეტენზე ყოფნის შემთხვევაში ანაზღაურების გაცემა დაიწყება 41-ე (ორმოცდაერთი) დღიდან.

ანაზღაურება გამოითვლება შემდეგი წესით:

- ბიულეტენზე ყოფნის დღეებს გამოაკლდება 40 (ორმოცი) კალენდარული დღე;
- მიღებული დღეების რაოდენობა (მაგრამ არაუმეტეს 180 (ას ოთხმოცი) დღისა) მრავლდება დაზღვეულის ყოველდღიური ნეტ შემოსავლის 60%-ზე;
- ყოველდღიური შემოსავალი დაანგარიშდება დაზღვეულის ბოლო 6 (ექვსი) კალენდარული თვის განმავლობაში დაბეგრული შემოსავლების ჯამის 180-ზე გაყოფით.

თვეში ასანაზღაურებელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული და პოლისში მითითებული ყოველთვიური ლიმიტის ოდენობას.

შემოსავლებში არ ითვლება ისეთი ტიპის შემოსავალი, როგორიცაა იჯარით მიღებული დივიდენდები ან სხვა, რომელიც არ მოითხოვს დაზღვეულის შრომას.

3.3 საოჯახო პოლისის შეძენის შემთხვევაში დაზღვეულ მეუღლესთან დაკავშირებით დაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებს:

3.3.1 სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ, დაზღვეული პირის ბუნებრივი მიზეზით გარდაცვალებისას, პოლისში მითითებული ფიქსირებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას.

3.3.2 სადაზღვევო პერიოდში მომხდარი უბედური შემთხვევის დღიდან 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში, უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეული პირის გარდაცვალებისას, პოლისში მითითებული ფიქსირებული სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას.

3.4 საოჯახო პოლისის შეძენის შემთხვევაში დაზღვეულ შვილ/ებ/თან დაკავშირებით სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს:

3.4.1 მხოლოდ უბედური შემთხვევით და არა რაიმე სხვა დამოუკიდებელი მიზეზით გამოწვეული სხეულის დაზიანების სიმძიმის გათვალისწინებით სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას წინამდებარე დაზღვევის პირობების დანართ 1-ში მოყვანილი ცხრილის მიხედვით. ამასთან, 100%-იანი ანაზღაურება უტოლდება მიმდინარე სადაზღვევო თანხას. სადაზღვევო შემთხვევებისა და დაზღვეული შვილების რიცხოვნობის მიუხედავად გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება არ აღემატება ამ რისკით გათვალისწინებულ, პოლისში მითითებულ ლიმიტს.



4. გამონაკლისები

4.1 წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვეულის გარდაცვალების ან/და დროებითი შრომისუუნარობის/სხეულის დაზიანების შემთხვევაში ზარალს მზღვეველი არ აანაზღაურებს, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებით:

4.1.1 მოცდის პერიოდის განმავლობაში ბუნებრივი მიზეზით დამდგარი გარდაცვალება, დროებითი შრომისუუნარობა და სხეულის დაზიანება;

- 4.1.2 დაზღვეულია პირი, რომელიც წინამდებარე პირობების მიხედვით დაზღვევას არ ექვემდებარება. ასევე, დაზღვეული მეუღლის გარდაცვალება, თუ დაზღვევის მომენტში ის არ იმყოფებოდა ოფიციალურ, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულ ქორწინებაში ძირითად დაზღვეულთან. ამასთან, ასეთი პირების სასარგებლოდ გადახდილი პრემია უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
- 4.1.3 პირველი სადაზღვევო წლის განმავლობაში დაზღვევამდე არსებული დაავადებით/პათოლოგიური მდგომარეობით ან/და მათი გართულებებით გამოწვეული გარდაცვალება; ეს გამონაკლისი აღარ მოქმედებს მეორე სადაზღვევო წლიდან;
- 4.1.4 ნარკოტიკული ნივთიერებების, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედება და მათი მოხმარებით გამოწვეული გართულებები; ასევე, თუ დაზღვეული გარდაცვალების მომენტში იმყოფებოდა ალკოჰოლის და/ან ნარკოტიკული, და/ან ტოქსიკური, და/ან ფსიქოტროპული ნივთიერებების მოქმედების ქვეშ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალება დანიშნულია შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით, სერტიფიცირებული ექიმის მიერ;
- 4.1.5 დაზღვეულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის დროს მომხდარი შემთხვევები;
- 4.1.6 დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია შიდსით, აივ-ინფექციით ან ნებისმიერი ტიპის ჰეპატიტით (გარდა A ჰეპატიტისა), ღვიძლის ციროზით, ღვიძლის კიბოთი ან მათი გართულებებით;
- 4.1.7 თვითმკვლელობა, თვითდაზიანება ან მათი მცდელობა; განსაკუთრებული საფრთხის მიმართ შეგნებული გაუფრთხილებლობა (თუ ეს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით არ ხდება);
- 4.1.8 დაზღვეულის მონაწილეობა საქართველოს (ან გარდაცვალების/უბედური შემთხვევის ადგილის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის) კანონმდებლობით გათვალისწინებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში;
- 4.1.9 მონაწილეობა ომში (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამოქალაქო ომში, აჯანყებაში, რევოლუციაში, გაფიცვაში, ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებაში;
- 4.1.10 შემთხვევის მიზეზი გახდა დაზღვეულის ან/და მოსარგებლის განზრახ ქმედება;
- 4.1.11 დაზღვეულის გარდაცვალება/შრომისუნარობა/სხეულის დაზიანება მოჰყვა ნებისმიერ ტერორისტულ აქტს. ტერორისტული აქტი გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური ან ეთნიკური მოტივით სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის ან/და საზოგადოების, ან მისი რომელიმე ნაწილის დაშინების მიზნით გამოყენებულ ძალას, ან ძალადობას, და/ან მუქარას ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა, მოქმედებენ ისინი მარტო თუ რაიმე ორგანიზაცი(ებ)ის ან ხელისუფლებ(ებ)ის სახელით ან მათთან შეთანხმებულად;
- 4.1.12 დაზღვეულის ფსიქიკური ავადმყოფობა, მაგრამ ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ფსიქიკურად დაავადდნენ დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისა და მოცდის პერიოდის ამოწურვის შემდეგ;

- 4.1.13 დაზღვეულის მონაწილეობა შემდეგი მაღალი რისკის აქტივობებში: სპორტის საბრძოლო სახეობები, აკვალანგიტ ყვინთვა, ნადირობა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, ჯომარდობა, მოტორიანი ნავით, კატამარანით, მოპედით, მოტოროლერით, სკუტერით, მოტოციკლით, კვადროციკლით გადაადგილება, პარაშუტით ხტომა, დელტა და პარაპლანერიზმი, „სკაისერფინგი“, „ვინდსერფინგი“, პარკური, ექსტრემალური ველოსპორტი („მაუნთინბაუკინგი“, „დერტჰამპინგი“), ავტო- და მოტორბოლა, დოლები, მღვიმეებსა და გამოქვაბულებში ყოფნა და გადაადგილება, გაუკვალავ თოვლში თხილამურებზე და სნოუბორდზე სრიალი, ტრამპლინიდან ხტომა, „სნოუმობაილინგი“, Freestyle სრიალი, ვერტმფრენიდან სრიალი (Heli Skiing), „სკი-ქროსი“, კურორტის რუკაზე აღნიშნული სასრიალო ტრასის/ტრასების გარეთ სრიალი; ექსტრემალური და პროფესიული სპორტის სახეობები, ავიაცია და მასთან დაკავშირებული სპორტის სახეობები; ასევე, თუ დაზღვეულის გარდაცვალება/შრომისუუნარობა/სხეულის დაზიანება მოჰყვა სანაძლეოს, აკრობატულ ოინებს, ნებისმიერი სახის რეკორდის დამყარებას, მის მცდელობას ან მისთვის მზადებას;
- 4.1.14 ავტომობილის ან/და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა შესაბამისი მართვის მოწმობის გარეშე, ან/და ავტომობილის, ან/და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვა ნარკოტიკული, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
- 4.1.15 დაზღვეულის ყოფნა ან მონაწილეობა პოლიციის, სამხედრო ფლოტის, ჯარის ან სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში ან სამხედრო ოპერაციებში/წვრთნებში;
- 4.1.16 დაზღვეულის პროფესიული საქმიანობა, როგორიცაა მაღაროში, მიწისქვეშა ქვის სამტეხლოში, ფეტქებადსაშიშ მასალებთან და საომარ აღჭურვილობასთან, ნავთობ პროდუქტებთან, მაღალი ძაბვის კაბელებთან, ნავთობისა და გაზის ქაბურღილის ბურღვასთან, საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სამუშაოები;
- 4.1.17 დაზღვეულის გარდაცვალება/შრომისუუნარობა გამოიწვია ბირთვული ენერგიით (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება) ნებისმიერმა დაზიანებამ ან დაავადებამ, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის აფეთქებით გამოწვეულ იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტიურ დაბინძურებას;
- 4.1.18 საავიაციო რისკები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეული წარმოადგენს რეგულარული ან ჩარტერული ავიარეისის მგზავრს;
- 4.1.19 სამედიცინო დანიშნულების არაგონივრული უარყოფა; ასევე, დაზღვეულის მიერ არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის კურსის ან თვითმკურნალობის შედეგად გამოწვეული ჯანმრთელობის გაუარესება;
- 4.1.20 ნებისმიერი შემთხვევა, თუ დადგენილი არ იქნება გარდაცვალების გამომწვევი დიაგნოზი. დაზღვეულის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება სადაზღვევო შემთხვევას არ წარმოადგენს;
- 4.1.21 დაზღვეულის ჯანმრთელობასთან, პროფესია/საქმიანობასთან ან სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის დამალვა ან გაყალბება როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, ასევე მისი მოქმედების პერიოდში და სადაზღვევო შემთხვევის შემდეგაც.
- 4.1.22 თუ დაზღვეულმა შეიცვალა პროფესია ან საქმიანობა და მზღვეველს არ შეატყობინა ამ ცვლილებების შესახებ, ხოლო ამ ფაქტს შეეძლო გავლენა მოეხდინა სადაზღვევო შემთხვევაზე.

4.2 წინამდებარე პირობების თანახმად, გარდა პუნქტ 4.1-ში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა, დაზღვეულის დროებითი შრომისუნარობით გამოწვეულ ზარალს მზღვეველი არ აანაზღაურებს, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებით:

- 4.2.1 თუ უბედური შემთხვევის დადგომისას დაზღვეული არ/ალარ არის დასაქმებული/თვითდასაქმებული;
- 4.2.2 შემთხვევები, რომლებიც არ არის გამოწვეული უბედური შემთხვევით;
- 4.2.3 დაზღვევის მოქმედების დაწყებამდე ან/და უბედურ შემთხვევამდე არსებული ფიზიკური ნაკლები, ანომალიები, დაავადებები და მათი გართულებები ან შრომისუნარობა;
- 4.2.4 მოწამვლა, რომელიც მოჰყვა დაზღვეულის მიერ თხევადი ან მყარი ნივთიერების მიღებას;
- 4.2.5 აბდომინური ან საზარდულის თიაქარი; პათოლოგიური მოტეხილობა, სახსრის ჩვეული ამოვარდნა/ღრძობა/ქვეღრძობა;
- 4.2.6 გარეგანი ძალების ზემოქმედების გარეშე მალთაშორისი დისკების დაზიანება, სისხლდენა შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევა;
- 4.2.7 თუ უბედური შემთხვევის დროს დაზღვეული იმყოფება შვებულებაში ორსულობის, მშობიარობის ან/და ბავშვის მოვლის გამო;
- 4.2.8 წინამდებარე პირობების თანახმად, გარდა პუნქტ 4.1-ში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა, დაზღვეულის დროებითი შრომისუნარობის შემთხვევაში ანაზღაურება არ გაიცემა, თუ დაზღვეული ბიულეტენზე ყოფნის პერიოდში კვლავ აგრძელებს სახელშეკრულებო ურთიერთობას დამსაქმებელთან და იღებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხელფასს.

4.3 წინამდებარე პირობების თანახმად, გარდა პუნქტ 4.1-ში ჩამოთვლილი გამონაკლისებისა, დაზღვეული შვილის სხეულის დაზიანების შემთხვევაში ზარალს მზღვეველი არ აანაზღაურებს, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებით:

- 4.3.1 შემთხვევები, რომლებიც არ არის გამოწვეული უბედური შემთხვევით;
- 4.3.2 დაზღვევის მოქმედების დაწყებამდე ან/და უბედურ შემთხვევამდე არსებული ფიზიკური ნაკლები, ანომალიები, დაავადებები და მათი გართულებები ან შრომისუნარობა;
- 4.3.3 მოწამვლა, რომელიც მოჰყვა დაზღვეულის მიერ თხევადი ან მყარი ნივთიერების მიღებას;
- 4.3.4 აბდომინური ან საზარდულის თიაქარი; პათოლოგიური მოტეხილობა, სახსრის ჩვეული ამოვარდნა/ღრძობა/ქვეღრძობა;
- 4.3.5 გარეგანი ძალების ზემოქმედების გარეშე მალთაშორისი დისკების დაზიანება, სისხლდენა შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევა;

4.4 წინამდებარე პირობების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურება ასევე არ ექვემდებარება გაცემას, თუ:

- 4.4.1 არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი მზღვეველის მიერ შემთხვევის შესაფასებლად აუცილებელი საბუთები;
- 4.4.2 დაზღვევის პროცესში დამზღვევის მიერ არასწორად ან/და არაზუსტად ან/და არასრულად იქნა მოწოდებული ინფორმაცია დაზღვეულის შესახებ, რასაც შეიძლება არსებითი გავლენა

ჰქონოდა რისკის შეფასებაზე;

- 4.4.3 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო პრემია არ იყო გადახდილი წარმოდგენილი პირობების 7.4 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად;
- 4.4.4 სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული, დამზღვევის და/ან მოსარგებლის მიერ მზღვეველისათვის მიწოდებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია არ შეესაბამება რეალურ ფაქტობრივ გარემოებებს ან /და ყალბია.



5. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძვლები და წესი

- 5.1 მოსარგებლე ვალდებულია სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) თვის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს (ცხელი ხაზის ნომერი +995 32 2 42 22 22 ან ელ. ფოსტა: life@tbcinsurance.ge) და წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

5.1.1 ნებისმიერი ტიპის სადაზღვევო შემთხვევისას:

- ანაზღაურების მოთხოვნის განაცხადი;
- დაზღვეულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სადაზღვევო პოლისი;
- მოსარგებლ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- მოსარგებლის/მოსარგებლეების საბანკო რეკვიზიტები;
- თუ ზარალი უკავშირდება დაზღვეულ მეუღლეს - ქორწინების მოწმობის ასლი.

5.1.2 დაზღვეულის გარდაცვალებისას:

- დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- სამედიცინო ცნობა გარდაცვალების მიზეზის შესახებ (ფორმა 106/ს-4);
- დიაგნოზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სამედიცინო ფორმა iv-100/ა);
- დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალებისას შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი აქტი;
- ნოტარიულად დამოწმებული სამკვიდრო მოწმობა (საჭიროების შემთხვევაში);
- საჭიროების შემთხვევაში ოჯახის წევრების (მეუღლის, შვილების, დედ-მამის, და-ძმის) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები, ასევე ოჯახის წევრების (მეუღლის, შვილების, დედ-მამის, და-ძმის) დაბადების მოწმობის ასლები და დაზღვეულის ქორწინების მოწმობის ასლი;
- იმ შემთხვევაში, თუ მოწოდებული დოკუმენტაციით ვერ ხერხდება დაზღვეულის გარდაცვალების გამომწვევი მიზეზის დადგენა, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.

5.1.3 უბედური შემთხვევით გამოწვეული დროებითი შრომისუნარობისას:

- შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი აქტი უბედური შემთხვევის შესახებ;
- დიაგნოზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სამედიცინო ფორმა iv-100/ა);
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #281/6 ბრძანების შესაბამისად გაცემული საავადმყოფო ფურცელი;
- თუ დაზღვეული დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულებით კერძო კომპანიაში ან სახელმწიფო სტრუქტურაში - ცნობა სამსახურიდან (დაკავებული თანამდებობის, სამსახურში აყვანის და გათავისუფლების თარიღისა და ხელფასის ოდენობის მითითებით), შრომითი ხელშეკრულების ან/და დანიშვნის ბრძანების ასლი, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ბრძანება, ამონაწერი კომპანიის სახელფასო უწყისიდან, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში ჩარიცხული ხელფასის ოდენობით, ცნობა შემოსავლების სამსახურიდან სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში მიღებული შემოსავლების შესახებ;
- თუ დაზღვეული დასაქმებულია მომსახურების ხელშეკრულებით ან თვითდასაქმებულია - საბანკო ამონაწერი სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში ჩარიცხული თანხების შესახებ, ცნობა შემოსავლების სამსახურიდან სადაზღვევო შემთხვევამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში მიღებული შემოსავლების შესახებ, მომსახურების ხელშეკრულების ასლი, თუ დაზღვეულის საქმიანობა ითვალისწინებს სპეციალურ ლიცენზირებას - შესაბამისი ლიცენზიის ასლი.

5.1.4 დაზღვეული შვილის უბედური შემთხვევის შედეგად სხულის დაზიანებისას:

- დაბადების მოწმობის ასლი;
- შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი აქტი უბედური შემთხვევის შესახებ;
- სასწავლო დაწესებულებაში ტრავმის მიღების შემთხვევაში - შესაბამისი ცნობა სასწავლო დაწესებულებიდან;
- სპორტული ტრავმის შემთხვევაში ცნობა სპორტული დაწესებულებიდან (კლუბიდან), რომელიც ადასტურებს დაზღვეულის ამ დაწესებულებაში სპორტით დაკავებას (სპორტის სახეობისა და დატვირთვის მითითებით) და ტრავმის მიღებას, ასევე, სპორტული დაწესებულების ლიცენზიის ასლი;
- დიაგნოზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სამედიცინო ფორმა iv-100/ა);

5.2 კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი საბუთებისგან განსხვავებული, დამატებითი საბუთების წარმოდგენა კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად დადგენის მიზნით.

5.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში განიხილავს და გასცემს მოსარგებლეზე წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს ეტყვის მოსარგებლეს ანაზღაურებაზე.

5.4 სადაზღვევო ანაზღაურება მზღვეველის მიერ მოსარგებლე(ებ)ზე გაიცემა პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

- 5.5 იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე(ებ)ს წარმოადგენენ დაზღვეულის კანონისმიერი მემკვიდრე/ები, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სამკვიდრო მოწმობაში მითითებულ პირ(ებ)ზე, სამკვიდრო მოწმობაში მითითებული წესით ან/და პროცენტული თანაფარდობით.
- 5.6 იმ შემთხვევაში თუ დაზღვეული სარგებლობს მზღვევლის სხვა სიცოცხლის ვადიანი ნებაყოფლობითი დაზღვევის პროდუქტით, მიუხედავად სადაზღვევო პოლისების რაოდენობისა და მათი ლიმიტებისა, მოსარგებლე(ებ)ისათვის ასანაზღაურებელი ჯამური თანხა არ აღემატება ამ პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის/ლიმიტის ოდენობას.



6. დაზღვევის ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის წესი

- 6.1 დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყების თარიღის 24:00 საათზე და მოქმედებს სადაზღვევო პერიოდის დასრულების თარიღის 24:00 საათამდე.
- 6.2 დამზღვევი ვალდებულია სრულად და დროულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემიის ერთჯერადი ან პირველი შესატანი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან.



7. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი

- 7.1 სადაზღვევო პრემია გაიცემა ლარში.
- 7.2 სადაზღვევო პრემიის ოდენობა და მისი გადახდის გრაფიკი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.
- 7.3 თუ სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული პირველი ან ერთჯერადი შესატანის გადახდა არ მოხდა დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების თვის შემდეგი კალენდარული თვის პირველ რიცხვამდე, მზღვეველი მოახდენს დაზღვევის ხელშეკრულების ანუღირებას საწყისი თარიღით, დამზღვევისთვის შეტყობინების გაგზავნის გარეშე.
- 7.4 სადაზღვევო პრემიის მრავალჯერადი გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო პოლისში მითითებული გადახდის გრაფიკის დარღვევის/ვადაგადაცილებისას (იგულისხმება სადაზღვევო პოლისში მითითებული გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველისა), დამზღვევს დამატებით აქვს ორკვირიანი ვადა გადასახდელად. ამასთან, თუ სადაზღვევო პრემია არ იქნება გადახდილი ამ 14 (თოთხმეტი) დღიან პერიოდში, 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ დამდგარი ზარალი არ ანაზღაურდება, ხოლო სადაზღვევო პოლისში მითითებული გადახდის თარიღის ვადაგადაცილებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე (ოცდამეათე კალენდარული დღის 24 საათზე) მზღვეველის მხრიდან ცალმხრივად შეწყდება დაზღვევის ხელშეკრულება/სადაზღვევო პოლისი.
- 7.5 სადაზღვევო პრემიის მრავალჯერადი გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო პრემიის გადახდის 30 (ოცდაათი) დღიანი ვადაგადაცილების მიზეზით მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებისას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი სადაზღვევო

პრემია.

- 7.6 დამზღვევის მხრიდან დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ადგილი არ ჰქონია სადაზღვევო შემთხვევას, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული და გადაუხდელი სადაზღვევო პრემია და დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირგასამტეხლო ერთი თვის სადაზღვევო პრემიის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) ლარისა.
- 7.7 დამზღვევის მხრიდან დაზღვევის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტამდე მზღვევლის მიერ მოხდა მიმდინარე დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს მიმდინარე სადაზღვევო წლის შესაბამისი სადაზღვევო პრემია. ამასთან, მზღვევლი უფლებამოსილია გამოეყენოს მიმდინარე სადაზღვევო წლის შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი მის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების თანხიდან.
- 7.8 თუ დაზღვევის ხელშეკრულება წყდება დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზით, მზღვევლის მიერ ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ჯამური სადაზღვევო პრემიის გადაუხდელი ნაწილი.



8. დაზღვევის ხელშეკრულების / სადაზღვევო დაფარვის შეწყვეტის წესი

- 8.1 დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედება შესაძლოა შეწყდეს:
- 8.1.1 დამზღვევის ინიციატივით, ნებისმიერ დროს, მზღვევლისთვის დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე წერილობითი მოთხოვნის მოწოდებიდან 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში.
- 8.1.2 მზღვევლის ინიციატივით, ნებისმიერ დროს, დამზღვევისთვის დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმებაზე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით.
- 8.1.3 მზღვევლის ინიციატივით, დამზღვევისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე, თუ მზღვევლის მხრიდან შესაბამისი სადაზღვევო პოლისით ნაკისრი ვალდებულებები სრულადაა შესრულებული/ამოწურულია სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ანაზღაურების ჯამური ლიმიტი.
- 8.2 დაზღვევის ხელშეკრულება ასევე შეწყდება:
- 8.2.1 შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის დასრულებისას;
- 8.2.2 ძირითადი დაზღვეულის გარდაცვალებისას;
- 8.2.3 დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებული წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
- 8.2.4 მზღვევლის მიერ მისი საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შეწყვეტის შემთხვევაში;
- 8.2.5 თუ მზღვეველმა დამზღვევს შეატყობინა პოლისზე პრემიის გადახდის ვადაგადაცილების შესახებ და ამ შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში დამზღვევი სრულად არ დაფარავს დავალიანებას;
- 8.2.6 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

- 8.3 საოჯახო პაკეტის შემთხვევაში დაზღვეული შვილის მიმართ მოქმედი სადაზღვევო დაფარვა შეწყდება, როგორც კი დაზღვეულ შვილს 18 წელი შეუსრულდება - დაბადების დღის 00:01 საათიდან.

9. შეტყობინებები და კომუნიკაცია

- 9.1 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე დაზღვევის პირობების გათვალისწინებით, საკომუნიკაციოდ შესაძლოა სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართის ან/და მობილური ტელეფონის ნომრის გამოყენება, რაც გულისხმობს იმას, რომ მზღვეველის მხრიდან დაფიქსირებულ მისამართზე გაგზავნილი წერილი ან მობილურ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება (მათ შორის - მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება მზღვეველის ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად; შეტყობინების ტელეფონის ნომერზე გაგზავნის შემთხვევაში, მზღვეველის მხრიდან შეტყობინების გაგზავნის დღე ჩაითვლება ადრესატისათვის შეტყობინების ჩაბარების დღედ.
- 9.2 მზღვეველი დამზღვევს/დაზღვეულს შეტყობინებას გაუგზავნის სადაზღვევო პოლისში მითითებულ ფაქტობრივ მისამართზე ან მისამართის შეცვლის თაობაზე, ამ პირობებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მზღვეველისათვის დაფიქსირებულ ბოლო მისამართზე. ამ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება/კორესპონდენცია ჩაითვლება დამზღვევის/დაზღვეულის მხრიდან მიღებულად, თუნდაც ადრესატი აღნიშნულ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს მითითებული.

10. დავათა გადაწყვეტა

- 10.1 წინამდებარე დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუკი შეუძლებელია საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტა, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოსათვის მიმართვის გზით.
- 10.2 წინამდებარე პირობების უცხოენოვან ვერსიასა და ქართულ ვერსიას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ქართულ ვერსიას მიენიჭება.

11. კონფიდენციალურობა

- 11.1 მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- 12.1 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რომ უკვე გაფორმებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიისა) დაამუშაოს: ა) სადაზღვევო მომსახურების მიზნით, ბ) მზღვეველის ინტერესების დაცვის მიზნით, გ) მზღვეველის მიერ შესაბამისი სახელშეკრულებო ან/და საკანონმდებლო ვალდებულების შესრულებისა და დ) ზარალის დარეგულირების მიზნით. ჩამოთვლილი მიზნების განსახორციელებლად მზღვეველი ასევე უფლებამოსილია ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან - მათ შორის სს „თიბისი დაზღვევის“ მონათესავე/აფილირებული/საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიისაგან, შსს მომსახურების სააგენტოდან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან - გამოითხოვოს დამზღვევის/მოსარგებლის პერსონალური ინფორმაცია ან/და სხვა საჭირო დოკუმენტაცია.
- 12.2 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რათა მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშაოს, ასევე პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს შეწყვიტოს მისი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენება იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.
- 12.3 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რომ სადაზღვევო მომსახურების შეთავაზების ან/და ხარისხის, ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევების მიზნით დაამუშაოს და მათ შორის პარტნიორი ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს დამზღვევის/მოსარგებლის პერსონალური მონაცემები.
- 12.4 დამზღვევი ანიჭებს მზღვეველს უფლებამოსილებას, რომ დამზღვევთან სადაზღვევო ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია (მოქმედების ვადა, სტატუსი, სადაზღვევო პრემია და სხვა) დაამუშაოს და მათ შორის ხელმისაწვდომი გახადოს მზღვეველის აგენტ(ებ)ისათვის ან/და პარტნიორი ორგანიზაციებისათვის, რომელსაც/რომლებსაც ამგვარ ინფორმაციაზე წვდომა ესაჭიროებათ მათი უფლება-მოვალეობების და მზღვეველის მხრიდან შესაბამისი სახელშეკრულებო ან საკანონმდებლო ვალდებულებების შესასრულებლად.

დანართი #1 - ანაზღაურების სხრილი დაზღვეული შვილ(ებ)ის უბედური შემთხვევით გამოწვეული ბრავმ(ებ)ის შემთხვევაში

მხედველობის სრული დაკარგვა ორივე თვალში	100%
ორივე ყურში სმენის დაკარგვა	100%
ქვედა ყბის მოცილება	100%
მეტყველების უნარის დაკარგვა	100%
ორი კიდურის დაკარგვა	100%
ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების დარღვევა - მეოთხე ხარისხი - ფუნქციების მკვეთრად გამოხატული დარღვევა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წ. 13 იანვრის ბრძანება 1/6 შესაბამისად	100%

კიდურების ან ორგანოების დაკარგვა ნიშნავს კიდურის ან ორგანოს ფუნქციის სრულ მუდმივ მოშლას ან მათ ფიზიკურ დაკარგვას. ფუნქციის სრული მუდმივი მოშლა უნდა იყოს დადასტურებული უბედური შემთხვევიდან 6-თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით.

თავის ქალის ძვლოვანი ქსოვილის დეფექტი	
6 სმ ² მეტი ზომით	40%
ზომით 3-6 სმ ²	20%
3 სმ ² ნაკლები ზომით	10%
ნახევარი ყბის დაკარგვა	40%
მხედველობის დაკარგვა ერთ თვალში	50%
ერთი თვალის დაზიანება: II-III ხარისხის დამწვრობა, ჰემოფთალმი, გუგის ფორმის შეცვლა, თვალის გარსების ნაწიბურები, რქოვანას ეროზია	10%
ერთ ყურში სმენის დაკარგვა	30%
ყურის ნიჟარის 1/2-მდე დაკარგვა	10%
ყურის ნიჟარის სრული დაკარგვა	15%
დაფის აპკის პერფორაცია	10%
თავის ქალის ფუძის მოტეხილობა	40%
თავის ქალის თალის მოტეხილობა	30%
სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა	20%
ეპიდურული სისხლჩაქცევა	25%
სუბდურული სისხლჩაქცევა	30%
თავის/ზურგის ტვინის დაჟეჟილობა	15%

ცხვირის ძვლების, ფრონტალური, ჰაიმორის სინუსის ძვლის, ცხავის ძვლის მოტეხილობა	20%
ცხვირის დაკარგვა	30%
მკერდის ძვლის მოტეხილობა	10%
3 ნეკნამდე მოტეხილობა	5%
3-ზე მეტი ნეკნის მოტეხილობა	10%
ხორხის, ტრაქეის, ენისქვეშა ძვლის, ფარისებრი ხრტილის დაზიანება	10%
ზედა სასუნთქი გზების დამწვრობა	20%
გულის, მაგისტრალური სისხლძარღვების დაზიანება	50%
მსხვილი პერიფერიული სისხლძარღვების დაზიანება	15%
ელენთის სუბკაპსულარული დაზიანება ჩარევის გარეშე	10%
სპლენექტომია ელენთის დაზიანების შედეგად	30%

III-IV ხარისხის დამწვრობა	
სხეულის ზედაპირის 1-2%	10%
სხეულის ზედაპირის 2.1-4%	15%
სხეულის ზედაპირის 4.1-6%	20%
სხეულის ზედაპირის 6.1-8%	25%
სხეულის ზედაპირის 8.1-10%	30%
სხეულის ზედაპირის >10%	35%
I-II ხარისხის დამწვრობა	
სხეულის ზედაპირის 4.1-10%	5%
სხეულის ზედაპირის >10%	10%
ხერხემალი	
1-2 მალის მოტეხილობა	20%
3-5 მალის მოტეხილობა	30%
>5 მალის მოტეხილობა	40%
მალთაშუა მყესების გახლეჩა	10%
კუდსუნის მოტეხილობა	15%

ზედა კიდურები	
ბეჭის, ლავიწის ძვლების მოტეხილობა, აკრომიონ-ლავიწის, თორაკო-კლავიკულარული მყესების სრული გახლეჩა	10%
მხრის სახსრის მყესების სრული გახლეჩა	10%
მხრის ძვლის მოტეხილობა	15%
მოტეხილობა იდაყვის სახსრის არეში	15%
იდაყვის სახსრის მყესების სრული გახლეჩა	10%
ერთი მკლავის/მტევნის დაკარგვა	70%
კანკუნთის ნერვის სრული დაზიანება	20%
მხრის სახსრის ანკილოზი	40%
იდაყვის სახსრის ანკილოზი	25%
- ხელსაყრელ პოზიციაში (150 ფარგლებში)	
- არახელსაყრელ პოზიციაში	40%
წინამხრის ძვლების მოტეხილობა	10%
შუამდებარე ნერვის სრული დაზიანება	45%
სხივის ნერვის სრული დაზიანება მხრის წნულში	40%
სხივის ნერვის წინამხრის ნაწილის სრული დაზიანება	30%
სხივის ნერვის მტევნის ნაწილის სრული დაზიანება	20%
იდაყვის ნერვის სრული დაზიანება	30%
მოტეხილობა მაჯის სახსრის არეში, მყესების სრული გაგლეჯა	10%
მაჯის სახსრის ანკილოზი არახელსაყრელ პოზიციაში (მოხრილ ან სუპინაციის პოზიციაში)	30%
თითების მოტეხილობა	5%
ცერა თითის დაკარგვა	20%
ცერა თითის სრული ანკილოზი	15%
სამკვეთელი თითის დაკარგვა	15%
შუათითის დაკარგვა	10%
ნებისმიერი სხვა თითის დაკარგვა	7%

ქვედა კიდურები	
ერთი ფეხის დაკარგვა ბარძაყის ქვედა ორი მესამედის ზევით	70%
ერთი ფეხის დაკარგვა ბარძაყის ზედა მესამედის ქვემოთ	60%
ერთი ტერფის დაკარგვა	45%

ბარძაყის ნერვის სრული დაზიანება	60%
ბარძაყის სახსრის ღრძობა	5%
ბარძაყის სახსრის მყესების სრული გაგლეჯა	10%
ბარძაყის ძვლის (თავის, ყელის) მოტეხილობა ბარძაყის სახსრის არეში	25%
ბარძაყის ძვლის მოტეხილობა არა ბარძაყის სახსრის არეში	20%
დიდი წვივის ნერვის ან მცირე წვივის ნერვის სრული დაზიანება	30%
დიდი წვივის ნერვის და მცირე წვივის ნერვის სრული დაზიანება	50%
მენჯ-ბარძაყის სახსრის ანკილოზი	40%
მუხლის სახსრის ანკილოზი	20%
მოტეხილობა მუხლის სახსრის არეში	15%
მუხლის სახსრის მყესების სრული გაგლეჯა	10%
კვირისტავის ძვლოვანი ქსოვილის დაზიანება, შეზღუდული მოძრაობით მუხლის სახსარში	40%
კვირისტავის ძვლოვანი ქსოვილის დაზიანება, შენარჩუნებული მოძრაობით მუხლის სახსარში	20%
დიდი წვივის მოტეხილობა	10%
მცირე წვივის მოტეხილობა	5%
მოტეხილობა კოჭ-წვივის სახსრის არეში	5%
კოჭ-წვივის სახსრის მყესების სრული გაგლეჯა	5%
ტერფის 1-2 ძვლის მოტეხილობა	5%
ტერფის >2ძვლის მოტეხილობა	10%
1 თითის მოტეხილობა	1%
2-3 თითის მოტეხილობა	3%
4-5 თითის მოტეხილობა	5%
ქვედა კიდურის დამოკლება 5 სმ-ით და მეტი	30%
ქვედა კიდურის დამოკლება 3-5 სმ-ით	20%
ქვედა კიდურის დამოკლება 1-3 სმ-ით	10%

წყვილი ორგანოების/კიდურების დაკარგვის შემთხვევაში, შესაბამისი პროცენტული წილები დაჯამდება, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 100%-ს.

გარდა ცხრილში მოყვანილი ორგანოს/კიდურის/ნაწილის ფიზიკური დაკარგვის ან ფუნქციის სრული მუდმივი მოშლის სხვა შემთხვევებში ანაზღაურება მოხდება შემდეგი წესით:

- ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების დარღვევა - **მეორე ხარისხი** - ფუნქციების ზომიერად გამოხატული დარღვევა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 № 13 იანვრის ბრძანება 1/6 შესაბამისად - სადაზღვევო თანხის 30%.
- ორგანიზმის ძირითადი ფუნქციების დარღვევა - **მესამე ხარისხი** - ფუნქციების მნიშვნელოვნად გამოხატული დარღვევა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 № 13 იანვრის ბრძანება 1/6 შესაბამისად - სადაზღვევო თანხის 70%.

გარდა ცხრილში მოყვანილი ტრავმების სახეობებისა სხვა ტრავმების შემთხვევებში ანაზღაურება მოხდება შემდეგი წესით:

თუ უბედური შემთხვევით განპირობებული დაზიანება მოითხოვს არანაკლებ 10 დღის ხანგრძლივობის განუწყვეტელ სტაციონარულ ან/და ამბულატორიულ მკურნალობას, ანაზღაურება გაიცემა:

10-15-დღიანი უწყვეტი მკურნალობა	3%
>15-დღიანი უწყვეტი მკურნალობა	5%